რეგიონთაშორის ეკონომიკურ ურთიერთობებში კონსალტინგური კომპანიების საქმიანობა

ე. ივანიშვილი
სტუ-ს დოქტორანტი,
სტუ-ს შესყიდვების
განყოფილების უფროსი

ეკონომიკის განვითარების ისტორია არის ქვეყნებსა და ერთი ქვეყნის შიგნით რეგიონებს შორის სავაჭრო და ეკონომიკური კავშირების ჩამოყალიბებისა და გაფართოების ისტორია. რეგიონთაშორისი ეკონომიკური კავშირების ჩამოყალიბების საფუძველს წარმოადგენს შრომის ტერიტორიული დანაწილება ანუ ცალკეული რეგიონების სპეციალიზაცია ამა თუ იმ სახის საქონლის გამოშვებაზე, სამუშაოს ან მომსახურების გაწევაზე, რომლითაც ისინი ახორციელებენ ურთიერთგაცვლას. შრომის დანაწილებასთან ერთად რეგიონთაშორისი საქონელბრუნვის მასშტაბებსა და ინტენსივობაზე არსებით გავლენას ახდენს მთელი რიგი ფაქტორები: ბუნებრივ-სანედლეულო რესურსების არსებობა, ტერიტორიის სიდიდე და გასვლა მნიშვნელოვან საზღვაო გზებზე, ტერიტორიის ათვისების ისტორიული თავისებურებები, სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა და სხვა ფაქტორები.

საწარმოო ძალების განვითარებასთან და გლობალიზაციის პროცესებთან ერთად უფრო ფართოვდება და ღრმავდება სახელმწიფოთაშორისი და რეგიონთაშორისი კავშირები, რთულდება ურთიერთკავშირები დარგობრივ და რეგიონალურ სტრუქტურებს შორის.

რეგიონთაშორისი კავშირების ეფექტურობის გაზრდა შეუძლებელია ამ სფეროში ჩამოყალიბებული ტენდენციების ყოველმხრივი და ღრმა ანალიზის, რეგიონების თანამშრომლობის განვითარების ადეკვატური მექანიზმების შემუშავების, რეგიონთაშორისი ურთიერთქმედების კომპლექსური ინფრასტრუქტურის ჩამოყალიბების გარეშე. რეგიონთაშორისი თანამშრომლობის ინფრასტრუქტურის კომპლექსურობის როლი და მნიშვნელობა, რომელიც მოიცავს საქონელგამტარ ქსელებს, საინფორმაციო, ფინანსურ, სამართლებრივ და სხვა სტრუქტურებს, იზრდება მსოფლიო ბაზარზე კონკურენტუნარიანობის გაძლიერებისა და ინტეგრაციული პროცესების გაღრმავების პერიოდში.

საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პერიოდში რეგიონთაშორისმა ეკონომიკურმა კავშირებმა არსებითი ცვლილებები განიცადა. ეს კავშირები ყალიბდებოდა როგორც სუბიექტური, ასევე ობიექტური ფაქტორების ზეგავლენით, რომელთა მიმართულების ვექტორიც სრულიად განსხვავებული იყო. ერთის მხრივ, ამ კავშირების ინტენსივობასა და მასშტაბებზე ნეგატიურად აისახა ადრე ერთ ცილკში მომუშავე საწარმოების საწარმოო ჯაჭვის გაწყვეტა, მეორეს მხრივ, საკუთრების ფორმის ცვლილების შემდეგ საწარმოებმა მიიღეს მოქმედებების თავისუფლება საბაზრო ურთიერთობების ფარგლებში. ყოველივე ამან იმოქმედა არა მხოლოდ თავად სამრეწველო კავშირებზე, არამედ ეკონომიკურ მექანიზმებსა და მეთოდებზე, ეკომონიკის სუბიექტებს შორის ახალი ეკონომიკური კავშირების ჩამოყალიბებისა და განვითარების კუთხით.

საბაზრო ეკონომიკის განვითარებასთან ერთად ზუსტდებოდა რეგიონთაშორისი ურთიერთქმედების მექანიზმები, გაჩნდა ახალი მეთოდები და სტიმულები. მექანიზმების სისტემამ, 90-იანი წლებიდან დაწყებული, განიცადა შემდეგი ცვლილებები:

- ბარტერული მიწოდება და პირდაპირი საქონელბრუნვა;
- საქონლის რეგიონთაშორისი მიწოდებისა და მომსახურების გაწევის გარანტირება რეგიონთაშორისი ხელისუფლების მიერ ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების ჩარჩოებში;
- მოწყობილობებისა და ტექნიკის ლიზინგი;
- რეგიონთაშორის გაცვლაში მონაწილე საწარმოების საბიუჯეტო კრედიტირება;
- პირდაპირი ინვესტიციები საქონლისა და ნედლეულის რეგიონთაშორისი მიწოდების გაფართოების მიზნით, სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო საწარმოების აქციების შეძენა;
- რეგიონების საბიუჯეტო და არასაბიუჯეტო სახსრების გაერთიანება ერთობლივი პროექტების განვითარებისა და რეალიზაციის სპეციალიზირებულ ფონდებში.

90-იანი წლების შუა პერიოდში, ეკონომიკაში საბაზრო ურთიერთობების განვითარებისა და ბაზრის წევრებს შორის დაკარგული ეკონომიკური

კავშირების თანდათანობითი აღდგენის შესაბამისად დაიწყო ლიზინგური გარიგებების განხორციელება, გავრცელება ჰპოვა რეგიონებს შორის პროდუქციის მიწოდების გარანტიების შესახებ ხელშეკრულებების დადების პრაქტიკამაც.

უკანასკნელ პერიოდში განვითარდა რეგიონთაშორისი თანამშრომლობის ახალი მექანიზმები. ისეთები, როგორიცაა საინვესტიციო კონტრაქტების რეალიზაცია რეგიონებში სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გადამუშავების სიმძლავრეთა შექმნის კუთხით, რეგიონებში სურსათის მიწოდების ინტეგრირებული სასოფლო-სამეურნეო სტრუქტურების შექმნა, რეგიონული ადმინისტრაციების მიერ ქვეყნის სხვა რეგიონებში სამეურნეო სუბიექტების აქციების შეძენა, რეგიონების საბიუჯეტო და არასაბიუჯეტო სახსრების გაერთიანება განვითარებისა და ინვესტიციების სპეციალიზირებულ ფონდებში.

ბოლო წლებში რეგიონების რეგიონთაშორის თანამშრომლობაში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტი გახდა სამეცნიერო-ტექნოლოგიური და ინოვაციური კავშირების განვითარება, ქვეყნის სუბიექტების სამეცნიერო-ტექნიკური და სამეცნიერო-კვლევითი პოტენციალის ეფექტური გამოყენება. ამასთან დაკავშირებით, საკმაოდ აქტუალური ხდება რეგიონალურ ბაზრებზე სამამულო საწარმოების მეცნიერებატევადი პროდუქციის მხარდაჭერისა და წინსვლის ამოცანა, რეგიონალური ადმინისტრაციების მხრიდან ასეთი მხარდაჭერის უფრო ეფექტური მექანიზმების ძიება.

რეგიონთაშორისი თანამშრომლობის მხარდაჭერის ყველაზე პერსპექტიულ მექანიზმებს, რომელთაც გააჩნიათ სისტემური ხასიათი, წარმოდგენს:

- ფინანსური ბაზრის რესურსების მოზიდვის მექანიზმები რეგიონთაშორისი პროექტების დაფინანსებისთვის, პირველ რიგში, ეს ეხება მუნიციპალური ბანკების რესურსებს, რეგიონალური ადმინისტრაციების უფლებამოსილ ბანკებს, მოსახლეობის სახსრებს, არასახელმწიფო საპენსიო ფონდებს და სხვა არასაბანკო სტრუქტურებს;
- საფონდო ბაზრის მექანიზმები მასზე საწარმოების-რეგიონთაშორისი თანამშრომლობის მონაწილეთა აქციების, ობლიგაციების და ასევე რეგიონული ადმინისტრაციების ფასიანი ქაღალდების გატანის გზით;
- სასესხო ოპერაციების, გარიგებებისა და საინვესტიციო პროექტების დაზღვევისა და გარანტირების მექანიზმები, მათ შორის, რეგიონული ადმინისტრაციების ერთობლივი ძალისხმევით;
- ტექნიკის, მოწყობილობების, მანქანებისა და მექანიზმების ლიზინგის სისტემების განვითარება რეგიონთაშორისი თანამშრომლობის ფარგლებში;
- პარტნიორთა უნაღდო ანაზღაურების, სათამასუქო მიმოქცევის, კლირინგული ანგარიშსწორების სისტემების განვითარება რეგიონთაშორის თანამშრომლობაში;
- საინვესტიციო პროექტების წილური დაფინანსების მექანიზმები, ერთობლივ პროექტებში რეგიონული ადმინისტრაციებისა და კერძო ინვესტორების წილების განსაზღვრის მეთოდების სრულყოფა;
- რეგიონთაშორისი თანამშრომლობის პროექტების რეალიზაციის საკონცესიო მექანიზმები;
- რეგიონული ადმინისტრაციებისა და საწარმოების ფინანსური და საქმიანი ვალდებულებების საგირავნო უზრუნველყოფის მექანიზმები;
- ინტელექტუალური საკუთრების კომერციალიზაცია და აქტიური გამოყენება.

რეგიონთაშორისი ეკონომიკური ურთიერთობების პროცესში მეწარმეები მუდმივად ეხებიან საქონლის ხარისხის შემოწმების, ეროვნული სტანდარტის ნორმებთან შესაბამისობის დადგენის პრობლემას. ეს პრობლემები განპირობებულია იმით, რომ ჯერ ერთი, ტექნიკური რეგულირების ეროვნული სისტემა იმყოფება ჩამოყალიბების სტადიაში და ის მკაფიოდ არაა სტრუქტურირებული. მეორეც, მკაფიოდ არაა განსაზღვრული ნებაყოფლობითი სერტიფიკაციისა და კატეგორირების სამართლებრივი საფუძვლები. სერტიფიკაციისა და ხარისხის შეფასების რეგიონული სისტემების არსებობა აყენებს საკითხს კვლევებისა და შესაბამისი დოკუმენტაციის ორმხრივი აღიარების შესახებ.

საკვლევი ლაბორატორიების ქსელის განვითარება და მათი ტექნიკური აღჭურვის ამაღლება შესაძლოა განხორციელდეს არა მხოლოდ სახელწიფოს ძალებით, არამედ სავაჭრო–სამრეწველო პალატების, დარგობრივი კორპორაციული გაერთიანებების, მომხმარებელთა კავშირების მხარდაჭერითაც.

განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენს კონსალტინგური კომპანიები. მათი საქმიანობა მიმართულია რეგიონში ბაზრის ყველა დაინტერესებული სუბიექტის კონსულტირებაზე.

კონსალტინგური კომპანიები შეიძლება გამოვიდნენ დამოუკიდებელი სამეურნეო ორგანიზაციების სახით, ასევე როგორც სტრუქტურები, რომლებიც შედიან სამეცნიერო-კვლევითი ორგანიზაციების, საკვლევი ცენტრების შემადგენლობაში.

რეგიონში კონსალტინგური კომპანიების საქმიანობის ძირითადი მიმართულებების რიცხვს განეკუთვნება:

- ბაზრის სუბიექტებისთვის რეგიონში საინფორმაციო ველის შექმნა მოქმედი კანონების, საერთაშორისო და ეროვნული სტანდარტების, ხარისხისა და უსაფრთხოების შეფასების წესების, გამოკვლევის მეთოდების თაობაზე.
- დამამზადებლების, შემსრულებლებისა და მომხმარებლების ორიენტაცია საუკეთესო საქონელსა და მომსახურებაზე, რომლებიც გამოშვებულია როგორც საკუთარ, ისე სხვა რეგიონებში;
- პრაქტიკული რეკომენდაციების შემუშავება ფირმების განაცხადების მიხედვით ხარისხისა და უსაფრთხოების სფეროში საქმიანობის სრულყოფის თაობაზე, ასევე ხარისხის მენეჯმენტის სისტემის პრინციპებისა და ხარისხის მართვის სისტემის მაკეტების რეალიზაციის მხრივ;
- ორგანიზაციებისთვის მეთოდური დახმარების გაწევა სერტიფიკაციის, კატეგორირებისა და ლიცენზირების მომზადებისას, ასევე სერტიფიკაციის ორგანოსა და სასწავლო ცენტრის არჩევაში შემსრულებელთა კვალიფიკაციის ამაღლების მხრივ;
- მონაწილეობა სამეურნეო სუბიექტებს შორის ორმხრივი პრეტენზიების გადაწყვეტის პრობლემებზე სასამართლო საქმეების განსახილველად და მომხმარებელთა საჩივრების მომზადებაში საქონლისა და მომსახურების ხარისხის მიმართ;
- ხელისუფლების ორგანოსთან ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან ერთად საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება საკანონმდებლო და ნორმატიული აქტების მოთხოვნების, სტანდარტების, კონტროლის მეთოდების, ხარისხის უზრუნველყოფის რეგიონული თავისებურებების შესასწავლად; სემინარების, კონფერენციების, ტელეგადაცემების, "დია კარის დღეების" ჩატარება რეგიონის საუკეთესო საწარმოებზე;
- საშუამავლო საქმიანობა რეგიონებს შორის გამოცდილების გაზიარების ორგანიზებაზე პროდუქციისა და მომსახურების მიმართ მოთხოვნების ჰარმონიზაციის მიზნით, რომელთაც სხვადასხვა ფირმები ახორციელებენ; გასვლის, საბეჭდი და ილუსტრაციული მასალის მომზადების ორგანიზება;
- რეგიონალური გამოფენების ორგანიზება რეგიონში გამოშვებული ყველაზე ხარისხიანი საქონლის მიმართ ყურადღების მიპყრობის მიზნით;
- ურთიერთქმედება სერტიფიკაციის ორგანოებთან და საკვლევ ლაბორატორიებთან, დამოუკიდებელი ექსპერტიზის ცენტრებთან, სახანძრო ზედამხედველობის, რეგიონის საგადასახადო სამსახურის წარმომადგენლებთან ხარისხის უზრუნველყოფის ერთიანი პოლიტიკის შემუშავების მიზნით;
- საგამომცემლო საქმიანობა, რომელიც უკავშირდება რეგიონში ხარისხის შეფასებისა და უზრუნველყოფის პრობლემების საჯარო განხილვას; ცნობითი მასალების მომზადება რეგიონის წამყვანი საქონლის რეიტინგის შესახებ რეგიონში ანალოგიურებთან შედარებით; გამოცემების მომზადება და ა.შ.

ამ მიმართულებების გარდა, კონსალტინგურ ფირმებს შეუძლიათ საკუთარ თავზე აიღონ დამოუკიდებელი ექსპერტიზის, საკვლევი ლაბორატორიების, სერტიფიკაციის ორგანოების ფორმირების ორგანიზატორთა ფუნქციებიც.

საბაზრო პირობებში, როცა რეგიონული ეკონომიკის სუბიექტებად გამოდიან მესაკუთრეები, რომელთაც გააჩნიათ თანაბარი უფლებები და როცა ჯერ კიდევ არ ჩამოყალიბებულა ახალი სამეურნეო ურთიერთობების ადექვატური საკანონმდებლო უზრუნველყოფა, მკვეთრად იზრდება საბაზრო ეკონომიკის სუბიექტებს შორის სამეურნეო კონფლიქტების რიცხვი.

საარბიტრაჟო სასამართლოების სისტემა არასაკმარისადაა განვითარებული, არ უზრუნველყოფს სამეურნეო დავების ეფექტურ გადაწყვეტას, მათ შორის, რეგიონთაშორისი თანამშრომლობის და ინფრასტრუქტურის განვითარების სფეროში.

კორპორაციული და რეგიონთაშორისი არბიტრაჟის ქსელის ფორმირება იძლევა შესაძლებლობას გადაწყდეს რეგიონთაშორის ასოციაციაში შემავალი სუბიექტების ურთიერთქმედების სპეციფიკური პრობლემები (მომიჯნავე ტერიტორიების გარემოს დაცვისა და ეკოლოგიის, რეგიონების მიერ სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის, წყლის რესურსების ერთობლივი გამოყენების პრობლემები და ა.შ.)

სამართლებრივი ინფრასტრუქტურის სხვა ელემენტია რეგიონული სამართლებრივი საკონსულტაციო ცენტრები. მათი საქმიანობის ძირითად სფეროს განეკუთვნება:

- ეკონომიკური საქმიანობის კონკრეტულ სფეროებში კანონმდებლობის გამოყენების რეკომენდაციები;
- კანონმდებლობის მოთხოვნებთან ბრძანებების პროექტების, ინსტრუქციების, სამეურნეო სუბიექტების სხვა დოკუმენტების განკარგულებების შესაბამისობის შემოწმება;

- საწარმოების, ასოციაციების, სააქციო საზოგადოებების, ფირმების და ა.შ. უფლებებისა და ვალდებულებების განსაზღვრის წინადადებების მომზადება;

- მონაწილეობის მიღება სამეურნეო ხელშეკრულებების, მიწოდების პირობებისა და სხვა დოკუმენტების მომზადებაში, რომლებიც არეგულირებენ საბაზრო ეკონომიკის სუბიექტების ურთიერთობებს;

- კონსულტაციები პრეტენზიებსა და სამეურნეო დავებზე;

- კონსულტაციები ეკონომიკური სანქციების გამოყენებაზე;

- მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით საინფორმაციო მასალების მომზადება;

- კანონმდებლობის მოთხოვნებთან სააქციო საზოგადოებების საერთო კრების გადაწყვეტილებების პროექტების შესაბამისობის შემოწმება;

- მონაწილეობის მიღება საბაზრო ეკონომიკის სხვადასხვა სუბიექტისთვის წესდებების, დებულებების შემუშავებაში;

- სადამფუძნებლო დოკუმენტების მომზადება;

- სადამფუძნებლო დოკუმენტების რეგისტრაცია აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოებში;

- კონსულტაციები საარბიტრაჟო სასამართლოებში საარბიტრაჟო პროცესების წარმოებაზე;

- კონსულტაციები ბიუჯეტთან ანგარიშსწორების წესის და საგადასახადო შედავათების გამოყენების თაობაზე;

- დოკუმენტების მომზადება და კონსულტაციები საგარეო ეკონომიკური საქმიანობის წარმოებაზე.

გარდა ზემოაღნიშნულისა, ამ ცენტრებს შეუძლიათ საკუთარ თავზე აიღონ კონსულტაციები რეგიონთაშორისი ეკონომიკური საქმიანობის, მიწის იჯარის, ინფრასტრუქტურის ობიექტების ერთობლივი გამოყენების თაობაზე და სხვა საკითხებზე.

საკუთრების სხვადასხვა ფორმის სუბიექტების სამართლებრივი მომსახურების ფუნქციას ასევე ასრულებენ საადვოკატო კანტორები. ამასთან, სამართლებრივი მომსახურება წარმოებს ხელშეკრულებების ან კონტრაქტების საფუძველზე, რომლებშიც გათვალისწინებულია საადვოკატო კანტორების კონკრეტული ვალდებულებები მრწმუნებელის იურიდიული მომსახურებები მიმაგრებული ადვოკატის მეშვეობით, ასევე ანაზღაურების ფორმები და ოდენობა.

საადვოკატო კანტორები სწევენ ფართო სახის სამართლებრივ მომსახურებას, რომლის საჭიროებასაც ასე განიცდიან ახალი საბაზრო სტრუქტურები:

- დადგენილი წესით წარმოადგენენ კლიენტების ინტერესს სასამართლოში, ასევე სხვა ორგანოებში სამართლებრივი საკითხების განხილვისას;

- ამყარებენ საქმიან კონტაქტებს სხვა სამეურნეო სუბიექტების ადვოკატებთან, რომლებთანაც კლიენტს გააჩნია სახელშეკრულებო ურთიერთობა, ცდილობენ რა დავის რეგულირებას ნებაყოფლობითი წესით;

- განაზოგადებენ და აანალიზებენ სასამართლო საქმეების შედეგებს, პრეტენზიებს, ხელშეკრულებების დადებისა და შესრულების პრაქტიკას;

- მონაწილეობენ მოლაპარაკებებში სამეურნეო ხელშეკრულებების დადებისას და სხვა დოკუმენტების ხელმოწერისას, ამასთან ყურადღება ექცევა მათში ყველა არსებული პირობის ასახვას, რომელიც აუცილებელია ხელშეკრულებების მიხედვით ვალდებულებების სათანადო შესრულებისთვის, გადმოცემის სისავსეს და მკაფიოობას;

- კლიენტის დავალებით ახორციელებენ ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლს და მათი დარღვევის შემთხვევაში იღებენ ზომებს კონტრაგენტების მიმართ ეკონომიკური სანქციების გამოყენების თაობაზე.

რეგიონთაშორისი შრომითი გაცვლის ინფრასტრუქტურა. რეგიონთაშორისი ეკონომიკური თანამშრომლობა მოიცავს რა ქვეყნის ტერიტორიაზე არა მხოლოდ საქონლის, მომსახურების, კაპიტალის, არამედ შრომითი რესურსების გადაადგილებას ფორმირებადი ერთიანი ეკონომიკური სივრცის ჩარჩოებში. ქვეყნის ტერიტორიაზე მთავარი სამრეწველო ძალის მუშაკის გადაადგილების ცვლილება ხორციელდება მიგრაციის მეშვეობით.

გლობალიზაციისა და ინტეგრაციის პროცესების გაღრმავების პირობებში გარე და შიდა შრომითი მიგრაციის როლი ქვეყნის და მისი რეგიონების ეკონომიკის განვითარებაში არსებითად იზრდება. ეს განპირობებულია მრავალი ფაქტორით და უპირველეს ყოვლისა შრომისუნარიანი ასაკის მოსახალეობის რაოდენობის შემცირებით.

ამ პრობლემის გადაწყვეტის მთავარი მიმართულებაა ადამიანის კაპიტალის, კადრების პროფესიონალური მომზადების დონის განვითარება. სხვა წყაროა უცხოელი მოქალაქეების შრომითი მიგრაცია და შრომითი გაცვლა-

გამოცვლა ქვეყნის რეგიონებს შორის.

შრომითი მიგრაციის პროცესების რეგულირებისთვის აუცილებელია შესაბამისი ინფრასტრუქტურის და ეკონომიკური მექანიზმების განვითარება. შრომითი გაცვლის ინფრასტრუქტურას განეკუთვნება დასაქმების სახელწიფო სამსახურები, პერსონალის დაქირავების კერძო ფირმები, შრომის მიგრაციული ბირჟები და ა.შ. ქვეყნის ტერიტორიაზე არასახელმწიფო სტრუქტურების ქსელის განთავსება საკმაოდ არათანაბარია, მრავალ რეგიონში ის მხოლოდ ახლა ყალიბდება.

უნდა აღინიშნოს, რომ ამჟამად საქართველოს რეგიონებში შექმნილია ორგანიზაციებისა და დაწესებულებების საკმაოდ განტოტვილი ქსელი, რომლებიც ეწევიან პრაქტიკულ მუშაობას რეგიონთაშორისი ეკონომიკური თანამშრომლობის უზრუნველყოფის სფეროში. ამასთან, გამოვლინდა, რომ რეგიონების ურთიერთქმედების ინფრასტრუქტურის ორგანიზაციებისა და დაწესებულებების ჩამოყალიბებული ქსელი ჯერ კიდევ შორსაა სრულყოფილისგან, არ წარმოადგენს დასრულებულ და კომპლექსურ სისტემას, მისი ცალკეული ელემენტები ვითარდება არათანაბრად.

ამ დროისთვის ყველაზე მეტი განვითარება ჰპოვა სავაჭრო-საშუამავლო და საინფორმაციო-კომერციულმა ინფრასტრუქტურამ, რომელიც მოიცავს საბაზრობო-საგამოფენო საქმიანობას და რეკლამას, თუმცა აქაც არის გადაუჭრელი პრობლემები. ჩამორჩება საფინანსო-საკრედიტო და ეკონომიკურ-სამართლებრივი ინფრასტრუქტურის განვითარება. რეგიონებში არასაკმარისია სპეციალიზირებული საფინანსო, სადაზღვევო, საგარანტიო, საკრედიტო ორგანიზაციები, რომლებიც მოემსახურებიან რეგიონთაშორისი ინფრასტრუქტურის სფეროს. ეკონომიკურ-სამართლებრივი ინფრასტრუქტურის ორგანიზაციებისა და ფირმების ქსელი უნდა შეივსოს ექსპერტიზის, სერტიფიკაციის, შესაბამისობის განსაზღვრის სამსახურებით. ჩამოყალიბების სტადიაშია რეგიონთაშორისი შრომითი გაცვლის ინფრასტრუქტურა.

ამდენად, რეგიონთაშორისი თანამშრომლობის რეალიზაციის ინფრასტრუქტურის პრაქტიკულად ყველა ფუნქციური სახის განვითარების დონე ვერ პასუხობს სრულად საბაზრო ეკონომიკის მოთხოვნებს. არსებობს მნიშვნელოვანი რეზერვები ინფრასტრუქტურის ცალკეული ელემენტების განვითარებაში. ინფრასტრუქტურის ძირითადი ფუნქციური სახეების დაუბალანსებლობა აფერხებს რეგიონთაშორისი ურთიერთობების განვითარებას, უარყოფითად აისახება რეგიონების ურთიერთქმედების ეფექტურობაზე. ამასთან დაკავშირებით, რეგიონთაშორისი ეკონომიკური თანამშრომლობის ინფრასტრუქტურის განვითარების მთავარ ამოცანას წარმოადგენს მისი კომპლექსურობის უზრზუნველყოფა.

კომპლექსურობის, ისევე როგორც სისტემურობის ცნება გამომდინარეობს საზოგადოებრივი ცხოვრების მოვლენების არსიდან და ეკონომიკური განვითარებიდან, სადაც ყველა ელემენტი ურთიერთგანპირობებული და ურთიერთდაკავშირებულია. ეს ურთიერთკავშირები არსებობენ ჩვენი ნების მიუხედავად და მათი განხორციელებისთვის საჭიროა ღრმა და ყოვლისმომცველი ეკონომიკური ანალიზი. ასეთ ინსტრუმენტს წარმოადგენს კვლევის კომპლექსური სისტემური ანალიზი.

კომპლექსურად ითვლება ინფრასტრუქტურა, რომელიც პასუხობს შემდეგ ძირითად მოთხოვნებს:

- მან უნდა მოიცვას რეგიონთაშორისი თანამშრომლობის ყველა მიმართულება;
- ინფრასტრუქტურის სხვადასხვა ფუნქციური სახის (ქვესისტემის) რაოდენობრივი და თვისობრივი განვითარების თანაბარზომიერება;
- სახელმწიფოსა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ურთიერთქმედება ინფრასტრუქტურის განვითარებაში;
- ყველა სახის ინფრასტრუქტურის ფუნქციონირების ნორმატიული უზრუნველყოფა;
- ინფრასტრუქტურის შექმნის დარგობრივი და ფუნქციური პრინციპების შერწყმა;
- ინფრასტრუქტურის განვითარება ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის ყველა დონეზე;
- რეგიონთაშორისი ეკონომიკური თანამშრომლობის ინფრასტრუქტურის განვითარება უნდა მოხდეს ინსტიტუციონალური გარემოს ყველა თავისებურების გათვალისწინებით.

განვიხილოთ ეს მოთხოვნები უფრო დაწვრილებით. რეგიონთაშორისი ეკონომიკური ურთიერთქმედების ინფრასტრუქტურის კომპლექსის შექმნისას ძირითადი ყურადღება უნდა დაეთმოს მისი ყველა ფუნქციური სახის (ქვესისტემის), ხოლო თითოეული სახის შიგნით-მისი ცალკეული ელემეტების, კერძოდ, ფინანსური და სადაზღვევო ორგანიზაციების შეთანხმებულ განვითარებას. ინფრასტრუქტურის სხვადასხვა სახე ურთიერთდაკავშირებულია. ამაზეა დამოკიდებული მათი ეფექტიანობაც. მაგალითად, სავაჭრო-საშუამავლო ინფრასტრუქტურა არ შეიძლება ეფექტურად ფუნქციონირებდეს საკრედიტო-საფინანსო და ეკონომიკურ-

სამართლებრივი ინფრასტრუქტურის გარეშე, ხოლო ინტერნეტ-კომერცია საინფორმაციო სისტემების გარეშე და ა.შ.

აუცილებელია შეიქმნას პირობები რეგიონებში ეკონომიკური თანამშრომლობის ინფრასტრუქტურის ელემენტების უფრო თანაბარზომიერი განვითარებისთვის. კერძოდ, დედაქალაქი დაინტერესებულია შეიქმნას ინფრასტრუქტურის კომპლექსები სხვა სუბიექტებში, რომლებთანაც დამყარებულია ეკონომიკური, სამეცნიერო-ტექნიკური და სოციოკულტურული კავშირები. რეგიონებში საფინანსო-საკრედიტო ორგანიზაციების, საქონელგამტარი ქსელების განვითარებაში ჩამორჩენა ამცირებს ორმხრივი თანამშრომლობის ეფექტს.

ინფრასტრუქტურის კომპლექსური განვითარება გულისხმობს ინფრასტრუქტურული ობიექტების განვითარებას მართვის ყველა ცენტრალურ, რეგიონალურ და მუნიციპალურ დონეზე. ამჟამად, დედაქალაქში ყველაზე მეტად განვითარებულია ქვეყნის რეგიონებთან ეკონომიკური ურთიერთქმედების საერთო საქალაქო ინფრასტრუქტურა. გარკვეული სამუშაო ტარდება დედაქალაქის ადმინისტრაციული ოლქების დონზე, ხოლო ქალაქის შიდა მუნიციპალური წარმონაქმნები ჯერ კიდევ სუსტადაა ჩართული რეგიონთაშორის ეკონომიკურ თანამშრომლობაში.

დასკვნები

რეგიონთაშორისი ეკონომიკური კავშირების ჩამოყალიბების საფუძველს წარმოადგენს შრომის ტერიტორიული დანაწილება. გარდა ზემოაღნიშნულისა, რეგიონთაშორისი საქონელბრუნვის მასშტაბებსა და ინტენსივობაზე არსებით გავლენას ახდენს მთელი რიგი ფაქტორები: ბუნებრივ-სანედლეულო რესურსების არსებობა, ტერიტორიის სიდიდე და გასვლა მნიშვნელოვან საზღვაო გზებზე, ტერიტორიის ათვისების ისტორიული თავისებურებები, სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა და სხვა ფაქტორები.

საწარმოო ძალების განვითარებასთან და გლობალიზაციის პროცესებთან ერთად უფრო ფართოვდება და ღრმავდება სახელმწიფოთაშორისი და რეგიონთაშორისი კავშირები, რთულდება ურთიერთკავშირები დარგობრივ და რეგიონალურ სტრუქტურებს შორის.

საბაზრო ეკონომიკის განვითარებასთან ერთად ზუსტდებოდა რეგიონთაშორისი ურთიერთქმედების მექანიზმები, გაჩნდა ახალი მეთოდები და სტიმულები.

კონსალტინგური კომპანიების საქმიანობა მიმართულია რეგიონში ბაზრის ყველა დაინტერესებული სუბიექტის კონსულტირებაზე. კონსალტინგური კომპანიები შეიძლება გამოვიდნენ დამოუკიდებელი სამეურნეო ორგანიზაციების სახით, ასევე როგორც სტრუქტურები, რომლებიც შედიან სამეცნიერო-კვლევითი ორგანიზაციების, საკვლევი ცენტრების შემადგენლობაში.

რეგიონთაშორისი ეკონომიკური ურთიერთქმედების ინფრასტრუქტურის კომპლექსის შექმნისას ძირითადი ყურადღება უნდა დაეთმოს მისი ყველა ფუნქციური სახის (ქვესისტემის), ხოლო თითოეული სახის შიგნით-მისი ცალკეული ელემეტების, კერძოდ, ფინანსური და სადაზღვევო ორგანიზაციების შეთანხმებულ განვითარებას. ინფრასტრუქტურის სხვადასხვა სახე ურთიერთდაკავშირებულია. ამაზეა დამოკიდებული მათი ეფექტიანობაც.

გამოყენებული ლიტერატურა

1) ბარათაშვილი ე, ჯოლია გ, გრძელიშვილი ნ, მამალაძე ი, სეხნიაშვილი დ, ჩახვაშვილი დ,– ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირება. თბილისი 2012 წ. I– I I წიგნი.

2) ბარათაშვილი ე., გალახვარიძე ნ., გრძელიშვილი ნ., ნადარეიშვილი ნ. რეგიონული ეკონომიკა, თბ. 2010

3) ნ. ჭითანავა. გარდამავალი პერიოდის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები. თბილისი 1997 წ.

4) ბურდული ვახტანგ. სოციალური და ეკონომიკური განვითარების კოორდინაცია რეგიონალ და ლოკალურ დონეზე (საქართველოს მაგალითზე). გამომცემლობა „მერიდიანი", თბილისი, 2006 წ.

5) Гаврилов А.И. - Региональная экономика и управление. Юнити, Москва 2002 г.

6) Буров М.П. - Система регулирования экономического взаимодеиствия регионов. Издательско-торговая корпорация „Дашков и К~

7) Тургель И.Д. - Региональная экономика и управление. М. 2003 г.

8) Региональная экономика, Под ред. Видяпина В.И., М.: ИНФРА-М.,2007.

9) Региональная экономика и управление, /Под обш. ред. А.Л. Гапоненко и Ю.С.Дульшикова. М.: Изд-во РАГС, 2006.

10) П.И. Бурак, В.Г. Ростнец, А.В. Попилин - Инфраструктура межрегиального экономического сотрудничесва и императивы инновационного развития «экономика» 2009

ACTIVITY OF THE CONSULTING COMPANIES IN THE MEZHREGILNALNY ECONOMIC RELATIONS

E. IVANISHVILI - PhD OF GTU

The basis of inter-regional relation formation is territorial division of labor. Apart from this a number of factors impact on the scale and intensity of inter-regional turnover: natural-raw material resources, size of the territory and exit on important sea roads, historical features of area exploring, transportation infrastructure and other factors.

Whit the development of industrial forces and globalization process, inter-state and inter-regional connections grow and deepen complicate relations between sectorial and regional structures.

The inter-regional interaction mechanisms of market economy were defined, new methods and incentives were made.

Activities of consulting companies are focused on the consulting of every interested subject in region market. Consulting companies may come in as independent economic organizations, also as structures that make scientific-research organizations, research centers.

The main attention in the establishment of inter-regional economic interactional infrastructure complex must be paid to coordinated function of its each functional type (subsystem) and within each subsystem – to its single chair, in particular, financial and insurance organizations. Various forms of infrastructure are interrelated. It defines their efficiency as well.